09/11/2020

სიკვდილი ცოდვის ნაყოფია – 7 ნოემბერს დედა ეკლესია მიცვალებულთა სულებს მოიხსენიებს

გვესაუბრება კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის ღვთისმსახური, დეკანოზი არჩილ ხაჩიძე:

– ღმერთი თავად არის სიცოცხლე, ღმერთს სიკვდილი არ შეუქმნია. სიკვდილი არის ყველაზე უფრო არაბუნებრივი რამ, რაც შეიძლება ამ სოფლად არსებობდეს. ამიტომაც თავად მაცხოვარი წუხს და დარდობს. ხოლო ის, რომ ჩვენც ვდარდობთ ჩვენს გარდაცვლილებზე, ამაში არაფერია არაბუნებრივი, ესეც უნდა იყოს ზომიერი. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მარადიული აღდგომისას აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს. ღმერთმა ინებოს მერეც ღვთის მადლით შევხვდეთ ერთმანეთს.

karibche.ambebi.ge